



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7



2016 წლის 8 თებერვალი

ხაშური

ხაშურში თევდორე მლდველის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის ნაწილის დემონტაჟისა და ბაღის ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურში, თევდორე მლდველის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღი იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და ფუნქციონირებს დაქირავებულ შენობაში. საბავშვო ბაღის კვლავ სრული დატვრთვით ამუშავების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ხაშურში თევდორე მლდველის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის ნაწილის დემონტაჟისა და ბაღის ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულებაა 807 900 ლარი. ვინაიდან, აღნიშნული თანხა აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №175 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს ხაშურში თევდორე მლდველის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის ნაწილის დემონტაჟის და ბაღის ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულება 807 900 ლარი (რვაას შვიდი ათას ცხრაასი ლარი) აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე